



# საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

## 2015 წლის II კვარტლის ანგარიში

❖ 3 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა წარმომადგენლობა გორში გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი და სპეციალისტები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.



❖ 14 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ლილი მურთაზაშვილის პერსონალური გამოფენა: „ძველი და ახალი თუშეთი“.

გამოიფინა თუშურ ფარდაგთა ნაირსახეობა, ასევე თუშური ყოფისა და წეს-ჩვეულებებისათვის დამახასიათებელი ნივთები: სადღვებელი, თუჯის ქვაბები, თუნგები, ხონჩები, ღვინის ჭურჭელი, მწყემსის ადჭურვილობა და სხვა.

❖ 17 აპრილს, ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელთან, ეთერ თათარაიძესთან და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელ ნანა ვალიშვილთან შეხვედრა გაიმართა. ფოლკლორის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებს ლექცია-საუბარი ჩაუტარდათ თემაზე ფოლკლორი. შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ხალხური შემოქმედების კუთხით თვალსაწიერის გახსნა და ზეპირსიტყვიერების შენარჩუნება.

❖ 16 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონულ წარმომადგენლობაში ლექციები წაიკითხეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერებისა და ხალხური სიმღერის მიმართულებების ხელმძღვანელებმა - პოეტმა ეთერ თათარაიძემ და ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა, ცენტრის სპეციალისტებმა ისაუბრეს ქართული ფოლკლორის როლსა და მნიშვნელობაზე ქართულ და მსოფლიო კულტურაში. ასევე მისი მოძიების, დაფიქსირების, შენახვისა და მოვლა-პატრონობის აუცილებლობაზე. მომავალში, ტექნიკური შესაძლებლობის პირობებში ლექციების კურსი თემატიკისა და დარგების მიხედვით გაგრძელდება. შესაძლებელია ადგილზე სანიმუშო კომპლექსური ექსპედიციის მოწყობაც.

❖ 23 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და მოწვეული სპელიასტებისაგან დაკომპლექტებული ექსპედიცია მოეწყო თეთრიწყაროში. ათდღიანი ექსპედიცია კომპლექსური იყო და მოიცავდა ფოლკლორის ყველა დარგს: ხალხური სიმღერა-გალობა, ქორეოგრაფია, ზეპირსიტყვიერება, გამოყენებითი ხელოვნება, ასევე ეთნოგრაფია-ეთნოლოგიას.

❖ 20 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა მხარდაჭერით, თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის ანდრო სიმაშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მომღერალს გადაეცა კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო - „ხელოვნების ქურუმი“.



❖ 22 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ბათირა არაბულის წიგნის - „ბათირა არაბული - მითებში შობილთა მემკვიდრე“ - პრეზენტაცია

❖ 24 აპრილს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა პროფესიონალი მხატვრების ნამუშევრების (ფერწერა,გრაფიკა,ქანდაკება)გამოფენა.

❖ 24 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობაში გაიმართა ხალხური სიმღერის მიმართულების ხელმძღვანელის მაია გელაშვილის წიგნის - „მხიარულ-ბრაზიანი ბატონების“ - პრეზენტაცია.

❖ 1 მაისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის კულტურის მესვეურთ უმასპინძლა. ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ დამსწრეთ მოკლედ გააცნო ცენტრის მიმდინარე პროექტები და ესაუბრა ფოლკლორის 2015-16 წლების ეროვნული ფესტივალის მიმდინარეობაზე, მიზნებზე, ამოცანებსა და მოთხოვნებზე. ხალხური მუსიკის მიმართულების კოორდინატორმა თეა კასაბურმა ჩაატარა ტრენინგი და დაწვრილებით ისაუბრა ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა ანკეტების შევსების წესის, რეკომენდაციების, შეფასების კრიტერიუმების, სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხის შესახებ, უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს. წინასაფესტივალო შეხვედრები ფოლკლორის ცენტრში კვლავაც გაგრძელდება.

❖ 5 მაისს ფოთში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა გაიხსნა.

წარმომადგენლობის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ფოთის არჩილ ხორავას სახელობის ხელოვნების სასწავლებელში ჩატარდა. ესწრებოდნენ: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი და სპეციალისტები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.





- ❖ 7 მაისს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სცენტრისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ორგანიზებით, ეგიდით - „აჭარის ტრადიციული კულტურის დღე“ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სემინარი: „მთიანი აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მემკვიდრეობა“.



- ❖ 8 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა-პანსიონის (დირექტორი დეკანოზი მირიან სამხარაძე) მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა: ფერწერა, ხატწერა, ტიხრული მინანქარი, ტანსაცმლის მოდელირება, ხის მხატვრული დამუშავება.
  
- ❖ 13 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ექსპედიცია გამეგზავრა კახეთის რეგიონში. კახეთის რეგიონიდან დაიწყო მასშტაბური პროექტის განხორციელება - „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება-დაფიქსირება“. პროექტის მიზანია: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა მოძიება, მათი ნამუშევრების აღწერა და ფოტოფიქსაცია, საოჯახო და საგვარეულო ტრადიციების შესახებ ინფორმაციის ჩაწერა. საბოლოოდ, მოძიებული მასალის მეცნიერული შესწავლა, სისტემატიზაცია და ცენტრის მონაცემთა ბაზის შევსება. პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.
  
- ❖ 27 მაისს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, თურქი პოეტის იუნუს ემრეს სახელობის თბილისის თურქული კულტურის ცენტრისა და თურქული კულტურის საბჭოს ორგანიზებით, გაიხსნა ტრადიციული თურქული რეწვის გამოფენა. წარმოდგენილია ფოტო-გამოფენა, ხოლო თურქეთიდან სპეციალურად ამ დღისათვის მოწვეული ხელოვანები ჩაატარებენ ვორკშოფს - ფაიფურის წარმოებაში, ებრუს (წყალზე ხატვა), კალიგრაფიის, მინიატურის, მინიატურული მხატვრობის დარგებში.
  
- ❖ 28-29 მაისი-სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ექსპედიცია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. ექსპედიციის მიზანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება-დაფიქსირება. პროექტი დაფინანსდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ

❖ 1 ივნისს ნიქოში პირველად ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი - „ნიქოში 2015“. ფესტივალის მიზანი იყო ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედების წარმოჩენა, ხელშეწყობა; ფოლკლორულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა; ახალგაზრდა ფოლკლორული ანსამბლების, საეკლესიო გუნდების ხელშეწყობა; გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა წახალისება და პოპულარიზაცია; მომავალი თაობის კეთილგანწყობის, ერთიანობის, თანადგომისა და სოლიდარობის წარმოჩენა. ფესტივალის ორგანიზატორები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, გორის მუნიციპალიტეტი.





- ❖ 4 ივნისს, თელავის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი - 2015-2016. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ატარებს „საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალს - 2015-2016“.

ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება: ხალხური სიმღერა და ცეკვა, საკრავიერი მუსიკა, ტრადიციული საეკლესიო გალობა, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსისა და ეთნიკური ჯგუფის ფოლკლორი.



- ❖ 5,6,7 ივნისი - კახეთის რეგიონი. ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი, შესარჩევი ტური.



- ❖ 14-15-16 ივნისს ზუგდიდში, კულტურის ცენტრ „ოდიშში“, გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შესარჩევი ტური - სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე. მონაწილეობდნენ: ტრადიციული გალობის საეკლესიო გუნდები, ფოლკლორული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ხალხური მთქმელები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები.



- ❖ 7-10 ივნისი - მაისი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ექსპედიცია რაჭასა და ქვემო სვანეთში. ექსპედიციის მიზანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება-დაფიქსირება. პროექტი დაფინანსდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.
  
- ❖ 19-24 ივნისი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ექსპედიცია აჭარის რეგიონში. ექსპედიციის მიზანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება-დაფიქსირება. პროექტი დაფინანსდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.
  
- ❖ 25-27 ივნისი - და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ექსპედიცია ქალაქ ზუგდიდში. ექსპედიციის მიზანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება-დაფიქსირება. პროექტი დაფინანსდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.
  
- ❖ 22 ივნისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ოთარ ფანასკერტელ - ციციშვილის ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 60- მდე კოლაჟი ისტორიულ, პოლიტიკურ, იუმორისტულ თემებზე.
  
- ❖ 30 ივნისს, ამბროლაურის კულტურის ცენტრში, დაიწყო საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შესარჩევი ტური - რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარე.



- მიმდინარეობს მუშაობა დავით ჯავრიშვილის ანთოლოგიაზე
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენ ხუნდაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე - „ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „პოლიკარპე ხუბულავა“
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „ანდრო სიმაშვილი“
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „როსტომ გოგოლაძე“

- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა შეიცვალა ვებ გვერდის მიმასამართი [www.folk.gov](http://www.folk.gov). მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ-გვერდის შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.
- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განახლებული ელექტრონული არქივის შესავსებად. სხვა შიფტით წერია ეს და ჩაასორე